

შპს „საჩხერის წყალკანალი“

ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
სრული შემოსავლების ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	10
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საჩხერის წყალკანალი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „საჩხერის წყალკანალი“-ს (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი წლების განმავლობაში იზრდებოდა მესაკუთრის მიერ კომპანიისთვის გადაცემული ძირითადი საშუალებების ღირებულებით, რამაც 2019 წლის ბოლოს შეადგინა 11,195,462 ლარი. მოცემული თანხიდან 2,208,489 ლარის ძირითადი საშუალებების ღირებულებაზე ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები ძირითადი საშუალებების გადაცემის დროს არსებული მათი რეალური ღირებულების შესახებ. აქედან გამომდინარე ვერ დავრწმუნდით საწესდებო კაპიტალის შესაბამის ღირებულებაში, რომლის ზრდაც ხდებოდა ძირითადი საშუალებების ღირებულების პროპორციულად. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებისა და საწესდებო კაპიტალის ღირებულებებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კაპიტალის ნაწილში უფიქსირდება 205,031 ლარის რეზერვები და დაფინანსება. ჩვენ ვერ მივიღეთ აღნიშნულ მუხლზე საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება, რათა დავრწმუნებულიყავით მის სისწორეში. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებებში.

კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უფიქსირდება გრძელვადიანი დებიტორული მოთხოვნები; თანხა შეადგენს 303,514 ლარს. ჩვენი აზრით, მოცემული გრძელვადიანი დებიტორული მოთხოვნები ჩამოსაწერია. კომპანია არ ქმნის საეჭვო მოთხოვნების რეზერვს დებიტორულ მოთხოვნებთან მიმართებაში.

კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის შედეგები ბოლო წლების განმავლობაში უარყოფით ნიშნულზე ფიქსირდება. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ეს გარემოება ძირითადი საშუალებების გაუფასურების ერთ-ერთ ინდიკატორს წარმოადგენს. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ ჩატარებია ძირითადი საშუალებების შესაძლო გაუფასურების ტესტირება. ჩვენ ვერ შევძელით, ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით მოგვეპოვებინა მტკიცებულებები კომპანიის ძირითადი საშუალებების სამართლიან ღირებულებაზე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებების ღირებულებებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით უფრო დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის განყოფილებაში დასახელებით “აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის”.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდის (IESBA Code), ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში მოქმედი აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA კოდის) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენს ეთიკურ მოვალეობებს. ჩვენი აზრით ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა მოსაზრების მოდიფიცირებისთვის.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული შეცდომები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISAs-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

ISAs-თან შესაბამისად ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განხორციელებისას. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძვლის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის შესაბამისობა და საადრიცხო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- საადრიცხო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა, არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვანად.

აუდიტის გარიგების პარტნიორი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის მოდიფიცირებული მოსაზრება არის ანა ოსიყმიშვილი.

ანა ოსიყმიშვილი
შპს „კუდოს ჯორჯია“

თბილისი, საქართველო
18 მაისი, 2020 წელი

აუდიტის გარიგების პარტნიორი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის მოდიფიცირებული მოსაზრება არის ანა ოსიყმიშვილი.

ანა ოსიყმიშვილი
მპს „კუდოს ჯორჯია“

თბილისი, საქართველო
18 მაისი, 2020 წელი



შპს „საჩხერის წყალკანალი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თანხები გამოსატულია ლარში

აქტივები	შენ.	31-დეკ-2019	31-დეკ-2018 შესწორებული	31-დეკ-2017 შესწორებული
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	7,754,312	6,642,361	6,979,234
გრძელვადიანი დებიტორული მოთხოვნები	6	303,514	303,514	303,514
არამატერიალური აქტივები		10,835	11,292	11,797
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,068,661	6,957,167	7,294,545
მიმდინარე აქტივები				
დებიტორული მოთხოვნები	8	273,260	214,315	179,136
მარაგები		9,628	10,049	7,483
საგადასახადო აქტივები /(ვალდებულებები)		4,402	(10,058)	(18)
ფული და ფულის ექვივალენტები	7	8,591	27,527	42,900
სულ მიმდინარე აქტივები		295,881	241,833	229,501
სულ აქტივები		8,364,542	7,198,999	7,524,046
ვალდებულებები და კაპიტალი				
მიმდინარე ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	9	26,261	10,455	6,851
გადასახდელი ხელფასები		2,843	2,843	2,843
სულ მიმდინარე ვალდებულებები		29,105	13,298	9,694
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება	10	263,585	263,585	263,585
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		263,585	263,585	263,585
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	11,195,462	9,752,370	9,571,296
აკუმულირებული მოგება / (ზარალი)		(3,035,285)	(2,525,560)	(2,525,560)
რეზერვები და დაფინანსება		205,031	205,031	205,031
მიმდინარე პერიოდის მოგება / (ზარალი)		(293,356)	(509,725)	-
სულ კაპიტალი		8,071,852	6,922,116	7,250,767
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		8,364,542	7,198,999	7,524,046

დირექტორი:
ვეფხვია კილაძე

მთავარი ბუღალტერი:
გაგა კაპანაძე

18 მაისი, 2020 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 11-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

შპს „საჩხერის წყალკანალი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თანხები გამოხატულია ლარში

აქტივები	მენ.	31-დეკ-2019	31-დეკ-2018 შესწორებული	31-დეკ-2017 შესწორებული
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	7,754,312	6,642,361	6,979,234
გრძელვადიანი დებიტორული მოთხოვნები	6	303,514	303,514	303,514
არამატერიალური აქტივები		10,835	11,292	11,797
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,068,661	6,957,167	7,294,545
მიმდინარე აქტივები				
დებიტორული მოთხოვნები	8	273,260	214,315	179,136
მარაგები		9,628	10,049	7,483
საგადასახადო აქტივები / (ვალდებულებები)		4,402	(10,058)	(18)
ფული და ფულის ექვივალენტები	7	8,591	27,527	42,900
სულ მიმდინარე აქტივები		295,881	241,833	229,501
სულ აქტივები		8,364,542	7,198,999	7,524,046
ვალდებულებები და კაპიტალი				
მიმდინარე ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	9	26,261	10,455	6,851
გადასახდელი ხელფასები		2,843	2,843	2,843
სულ მიმდინარე ვალდებულებები		29,105	13,298	9,694
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება	10	263,585	263,585	263,585
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		263,585	263,585	263,585
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	11,195,462	9,752,370	9,571,296
აკუმულირებული მოგება / (ზარალი)		(3,035,285)	(2,525,560)	(2,525,560)
რეზერვები და დაფინანსება		205,031	205,031	205,031
მიმდინარე პერიოდის მოგება / (ზარალი)		(293,356)	(509,725)	-
სულ კაპიტალი		8,071,852	6,922,116	7,250,767
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		8,364,542	7,198,999	7,524,046

დირექტორი:
ვეფხვია კილაძე

მთავარი ბუღალტერი:
გაგა კაპანაძე

18 მაისი, 2020 წ.
თბილისი, საქართველო



შენიშვნები გვერდებზე 11-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

შპს „საჩხერის წყალკანალი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება
თანხები გამოსატულია ლარში

	შენ.	2019 წ.	2018 წ. შესწორებული
შემოსავლები			
წყლის მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი	12	573,052	513,387
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	12	17,337	17,189
სულ შემოსავალი		590,389	530,576
საოპერაციო ხარჯები			
წყლის ქსელის და წყალარინების ცვეთა	5 14	(322,693)	(348,902)
პირდაპირი ხელფასი	14 15	(249,258)	(217,185)
ელენერგიის ხარჯი	14	(217,413)	(198,593)
რემონტის ხარჯები	14	(17,742)	(25,994)
ძირითადი მასალების დანახარჯები	14	(12,218)	(10,209)
საწვავის ხარჯი	14	(3,163)	-
სულ საოპერაციო ხარჯები		(822,487)	(800,882)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები			
ადმინისტრაციაში მომუშავეთა ხელფასები	15	(84,304)	(77,209)
ზენორმატიული დანაკარგის ხარჯი		(52,499)	(51,120)
ცვეთა და ამორტიზაცია	5	(20,075)	(28,892)
საგადასახადო ხარჯი		(17,678)	(18,149)
კომუნალური ხარჯები		(16,889)	(15,868)
საკონსულტაციო ხარჯები		(5,700)	(6,450)
ადმინისტრაციის საწვავის ხარჯი		(4,715)	(7,487)
საპენსიო სააგენტოს ხარჯი		(4,024)	-
საკომუნიკაციო ხარჯები		(4,174)	(3,694)
საკანცელარიო ხარჯები		(3,298)	(2,913)
მარეგულირებელი კომისიის ხარჯი		(1,258)	(1,167)
მივლინების ხარჯები		(740)	(675)
დაზღვევა		(904)	-
ბანკის საკომისიო		(270)	(289)
სხვა საერთო ხარჯები		(8,420)	(274)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(224,949)	(214,188)
არასაოპერაციო შემოსავლები			
სუბსიდიები	13	180,000	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		-	1,176
სულ არასაოპერაციო შემოსავლები		180,000	1,176
არასაოპერაციო ხარჯები			
არასაოპერაციო (ხარჯები)		(7,776)	(15,954)

სულ არასაოპერაციო ხარჯები		(7,776)	(15,954)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(284,822)	(499,272)
მოგების გადასახადი	16	(8,533)	(10,453)
წმინდა მოგება		(293,356)	(509,725)
სხვა ერთობლივი დანახარჯი		-	-
სრული შემოსავალი / (ხარჯი)		(293,356)	(509,725)

დირექტორი:
ვეფხვია კილაძე

მთავარი ბუღალტერი:
გაგა კაპანაძე

18 მაისი, 2020 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 11-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

სულ არასაოპერაციო ხარჯები		(7,776)	(15,954)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(284,822)	(499,272)
მოგების გადასახადი	16	(8,533)	(10,453)
წმინდა მოგება		(293,356)	(509,725)
სხვა ერთობლივი დანახარჯი			
სრული შემოსავალი / (ხარჯი)		(293,356)	(509,725)

დირექტორი:
ვეფხვია კილაძე

მთავარი ბუღალტერი:
გაგა კაპანაძე



18 მაისი, 2020 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 11-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

შპს „საჩხერის წყალკანალი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
თანხები გამოსატულია ლარში

	რეზერვები და დაფინანსება	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება / (ზარალი)	სულ
ბალანსი 31-დეკ-2017	205,031	9,571,296	(2,525,560)	7,250,767
ცვლილება +/-)				
კაპიტალის ზრდა / შემცირება		181,074		181,074
პერიოდის წმინდა მოგება / (ზარალი)			(509,725)	(509,725)
რეზერვები და დაფინანსება				-
ბალანსი 31-დეკ-2018	205,031	9,752,370	(3,035,285)	6,922,116
ცვლილება +/-)				
კაპიტალის ზრდა / შემცირება		1,443,091		1,443,091
პერიოდის წმინდა მოგება / (ზარალი)			(293,356)	(293,356)
რეზერვები და დაფინანსება				
ბალანსი 31-დეკ-2019	205,031	11,195,462	(3,328,641)	8,071,852

დირექტორი:

ვეფხვია კილაძე

მთავარი ბუღალტერი:

გაგა კაპანაძე

18 მაისი, 2020 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 11-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

შპს „საჩხერის წყალკანალი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
თანხები გამოხატულია ლარში

	რეზერვები და დაფინანსება	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება / (ზარალი)	სულ
ბალანსი 31-დეკ-2017	205,031	9,571,296	(2,525,560)	7,250,767
ცვლილება +/-)				
კაპიტალის ზრდა / შემცირება პერიოდის წმინდა მოგება / (ზარალი)		181,074		181,074
რეზერვები და დაფინანსება			(509,725)	(509,725)
ბალანსი 31-დეკ-2018	205,031	9,752,370	(3,035,285)	6,922,116
ცვლილება +/-)				
კაპიტალის ზრდა / შემცირება პერიოდის წმინდა მოგება / (ზარალი)		1,443,091		1,443,091
რეზერვები და დაფინანსება			(293,356)	(293,356)
ბალანსი 31-დეკ-2019	205,031	11,195,462	(3,328,641)	8,071,852

დირექტორი:
ვეფხვია კილაძე

მთავარი ბუღალტერი:
გაგა კაპანაძე

18 მაისი, 2020 წ.
თბილისი, საქართველო



შენიშვნები გვერდებზე 11-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

შპს „საჩხერის წყალკანალი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (არაპირდაპირი მეთოდი)
თანხები გამოსატულია ლარში

	შენ.	2019 წელი	2018 წელი
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(293,356)	(509,725)
ცვეთა (+)		362,745	399,559
ამორტიზაცია (+)		620	505
კურსთაშორისი			
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)		421	(2,567)
დებიტორული დავალიანებების ზრდა /კლება(-/+)		(58,945)	(35,178)
საგადასახადო აქტივების ზრდა /კლება(-/+)		(14,460)	10,040
კრედიტორული დავალიანებების ზრდა /კლება(+/-)		15,807	3,604
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		12,832	(133,762)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების გაყიდვა/შეძენა (+/-)		(1,474,697)	(62,685)
არამატერიალური აქტივების გაყიდვა/შეძენა (+/-)		(163)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,474,860)	(62,685)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
კაპიტალის ზრდა/შემცირება (+/-)		1,443,091	181,074
სასესხო ვალდებულებების მიღება (+)			-
სასესხო ვალდებულებების დაფარვა (-)			-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		1,443,091	181,074
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე			-
ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება		(18,936)	(15,374)
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში		27,527	42,900
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს		8,591	27,527

დირექტორი:

ვეფხვია კილაძე

მთავარი ბუღალტერი:

გაგა კაპანაძე

18 მაისი, 2020 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 11-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

შპს „საჩხერის წყალკანალი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (არაპირდაპირი მეთოდი)
თანხები გამოსატულია ლარში

	მეწ.	2019 წელი	2018 წელი
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე			
ცვეთა (+)		(293,356)	(509,725)
ამორტიზაცია (+)		362,745	399,559
კურსთაშორისი		620	505
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)		421	(2,567)
დებიტორული დავალიანებების ზრდა /კლება(-/+)		(58,945)	(35,178)
საგადასახადო აქტივების ზრდა /კლება(-/+)		(14,460)	10,040
კრედიტორული დავალიანებების ზრდა /კლება(+/-)		15,807	3,604
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		12,832	(133,762)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების გაყიდვა/შეძენა (+/-)		(1,474,697)	(62,685)
არამატერიალური აქტივების გაყიდვა/შეძენა (+/-)		(163)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,474,860)	(62,685)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
კაპიტალის ზრდა/შემცირება (+/-)		1,443,091	181,074
სასესხო ვალდებულებების მიღება (+)		-	-
სასესხო ვალდებულებების დაფარვა (-)		-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		1,443,091	181,074
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე		-	-
ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება		(18,936)	(15,374)
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში		27,527	42,900
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს		8,591	27,527

დირექტორი:
ვეფხვია კილაძე

მთავარი ბუღალტერი:
გაბა კაპანაძე

18 მაისი, 2020 წ.
თბილისი, საქართველო



შენიშვნები გვერდებზე 11-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შპს „საჩხერის წყალკანალი“

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საჩხერის წყალკანალი“, საიდენტიფიკაციო კოდი 239394259, დარეგისტრირებულია საჩხერის სახალხო სასამართლოს მიერ 2001 წლის 27 ივლისს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, საჩხერე, თავისუფლების ქ., №3.

კომპანია ძირითადად საქმიანობს მომსახურების სფეროში (წყლის დაგროვება, გაწმენდა და განაწილება, ადგილობრივი დანიშნულების მილსადენებისა და კავშირგაბმულობის და ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა; დამხმარე სამუშაოები). კომპანია წარმოადგენს წყალმომარაგების ლიცენზიანტ საწარმოს. (ლიცენზია გაცემულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2012 წლის 23 თებერვალს #014).

კომპანიის დამფუძნებელი არის: საჯარო სამართლის იურიდიული პირი თვითმმართველი თემი საჩხერის მუნიციპალიტეტი, საიდენტიფიკაციო კოდი 239393811, 100%.

კომპანიის დირექტორი ვეფხვია კილაძე პ.ნ. 38001006374.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში არ ხორციელდება.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დამუშავებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან.

რადგან 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამოირიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

წინა პერიოდის შეცდომების შესწორება

კომპანია შეასწორებს წინა პერიოდში დაშვებულ მატერიალურ უზუსტობებსა და შეცდომებს რეტროსპექტიულად, რომლებიც გამოვლინდება შესაბამისი პერიოდისთვის არსებულ ფინანსურ ანგარიშგებში და განახლებს ამ პერიოდში დაშვებულ უზუსტობებსა და შეცდომებს. იმ შემთხვევაში, თუ შეცდომა დაშვებულია შემოწმების პერიოდამდე, აღნიშნული შეცდომის გასწორება და ბალანსების განახლება მოხდება იმ პერიოდის აქტივებზე, ვალდებულებებსა და კაპიტალზე დაყრდნობით, რომლის დროსაც იყო დაშვებული ასეთი შეცდომა.

მენეჯმენტმა გადაწყვიტა რეტროსპექტიული ცვლილების განხორციელება და წინა წლის ბალანსების შესწორება. წინა წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლების შესწორება:

	2018 რეპორტის მიხედვით	2018 შესწორებული	2018 ეფექტი
სრული შემოსავლების ანგარიშგება			
შემოსავალი ზენორმატიული დანაკარგიდან	59,271	-	(59,271)
სულ შემოსავალი	59,271	-	(59,271)
ხარჯები			
ზენორმატიული ხარჯები	59,271	-	59,271
სულ ხარჯები	59,271	-	59,271
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე	(509,725)	(509,725)	-

მოცემული სრული შემოსავლების ანგარიშგება არ მოიცავს რეკლასიფიკაციებს.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცემა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისთვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტირების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩევლის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში - ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწრა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისთვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალ ფულად ნაკადების მთლიანად დისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სარედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი განდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვალებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე, როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ იცვითება. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	5-50
მანქანა-დანადგარები	5-40
ოფისის აღჭურვილობა	1-5
ავჯი და სხვა ინვენტარი	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის წრფივი მეთოდის გადახედვა, სასიცოცხლო ვადის განუსაზღვრელობამდე. არამატერიალური აქტივებისთვის, განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადით, ტარდება გაუფასურების ტესტი წლიურად. არამატერიალური აქტივები იცვითება იმ თარიღიდან, როცა გამოიყენება. სასიცოცხლო ვადა არის 10-30 წელი. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდის გადახედვა ხდება წლიურად და კორექტირდება შესაბამისად.

კომპანია ფლობს არამატერიალურ აქტივს ბუნებრივი მტკნარი წყლის მოპოვების ლიცენზიის სახით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვებისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება, როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში კომპანია განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი და განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირება მიმდინარე ღირებულებამდე ხდება დაბეგრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის ხარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება ხორციელდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით. ასეთი გარიგებების არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება შეფასების სხვა შესაბამისი მეთოდი. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით ან სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურების გაანგარიშებას ახორციელებს დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის მეხუთე წლის შემდეგ.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატიგორიებში.

თითოეული საანგარიშო თარიღისათვის ხორციელდება წინა პერიოდში აღიარებული ზარალის შეფასება, რაიმე ნიშნის არსებობის გამოვლენის მიზნით, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. აღრე აღიარებული გაუფასურების ზარალის შებრუნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაუფასურების ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრისათვის გაკეთებულ დამტკიცებებში ცვლილებებია შეტანილი. შებრუნება შეუძლებელია ისეთნაირად, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის აღდგენით ღირებულებას, ასევე არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

გადასახადები

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა :

-თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

-დებიტორული კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შემდეგ „კომპანიას“ აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გაღინება გახდეს საჭირო. ანარიცხის განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯი.

შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულების განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანია შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად გამოდის თუ პრინციპალის აგენტ მხარედ. კომპანიამ დაასკვნა, რომ იგი მოქმედებს პრინციპალის სახით შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა შეთანხმებაში. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების აღრიცხვა ხორციელდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (EIR), რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადის ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, საპროცენტო შემოსავალი აისახება მოგებაში ან ზარალში, ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში, გარდა იმ შემოსავლისა, რომელიც უკავშირდება რესტრუქტურირებულ დებიტორულ დავალიანებაზე დარიცხული დისკონტის ამორტიზაციიდან სარგებელს, რომელიც სხვა შემოსავლის ნაწილში შედის.

სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს სათანადო საფუძველი ვარაუდისა, რომ ასეთი გრანტი მიღებული იქნება. იმ შემთხვევაში, როდესაც გრანტების მიღება დაკავშირებულია გარკვეულ პირობებთან, მისი აღიარება ხორციელდება ასეთი პირობების დაკმაყოფილების გარანტიის არსებობის შემთხვევაში. როდესაც გრანტი შეეხება ხარჯების მუხლს, მისი აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროა გრანტის სისტემური მისადაგებისთვის იმ ხარჯებთან, რომელთა ასანაზღაურებლად არის განკუთვნილი. როდესაც გრანტი შეეხება აქტივს, მისი აღიარება ხორციელდება გადავადებული შემოსავლის სახით და აისახება მოგებაში ან ზარალში თანაბარი რაოდენობებით შესაბამისი აქტივის სავარაუდო სასარგებლო გამოყენების განმავლობაში.

როდესაც კომპანია იღებს არაფულად გრანტს, ეს აქტივი და გრანტი აისახება მიღებული არაფულადი აქტივების მთლიანი სამართლიანი ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს სპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები, რომლებიც ძალაშია 2016 წლის პირველი იანვრიდან.

- ბასს 16 და ბასს 38-ის შესწორება (ფასს-ის 2010-2012 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემული 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს სრულ საბალანსო ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთაზე/ამორტიზაციაზე არსებულ მიდგომას კომპანიის მიერ გადაფასების მოდელის გამოყენების შემთხვევაში. იქიდან გამომდინარე, რომ ჯგუფი არ იყენებს გადაფასების მოდელს, უფექტი არ ვრცელდება კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
- ბასს 19-ის შესწორება სახელწოდებით „დადგენილი შეღავათების სისტემა: თანამშრომლების შენატანები (გამოცემულია 2013 წლის ნოემბერში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, თუ როგორ ხდება მუშაობის პერიოდზე თანამშრომლების ან სერვისთან დაკავშირებული მესამე პირების მიერ განხორციელებული კონტრიბუციების განაწილება. კონკრეტულად, კონტრიბუციები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ნამუშევარი წლების რაოდენობაზე, შესაძლებელია აღიარებული იყოს მომსახურების ხარჯების შემცირებად იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა (მუშაობის პერიოდზე გადანაწილების ნაცვლად).
- ბასს 24-ის შესწორება (ფასს-ის 2010-2012 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, თუ როგორ ხდება სუბიექტებისთვის გადახდილი თანხების წარდგენა, რომლებიც წარმოადგენენ წამყვანი მმართველი პერსონალის სერვისის მომწოდებლებს.
- ბასს 40-ის შესწორება (ფასს-ის 2011-2013 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, როგორ ხდება საინვესტიციო ქონების შეძენისას ფასს 3 და ბასს 40 სტანდარტების გამოყენება. ბასს 40 სტანდარტი გამოიყენება საინვესტიციო ქონებისა და მფლობელის მიერ დაკავებული ქონების გამოიჯნაში, ხოლო ფასს 3 იმის დადგენაში, არის თუ არა საინვესტიციო ქონების შეძენა კომპანიების შერწყმა (ბიზნეს კომბინაცია).
- ფასს 3-ის შესწორება (ფასს-ის 2011-2013 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ სამომავლო საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, რომ ფასს 3 მოქმედების სფერო არ მოიცავს საერთო მმართველობის ორგანიზაციის წარმოქმნის აღრიცხვას ამავე ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ფასს 8-ის შესწორება (ფასს-ის 2010-2012 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, მოითხოვს მენეჯმენტის მიერ საოპერაციო სეგმენტებზე გაერთიანების კრიტერიუმების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გამოყენებული მსჯელობის შენიშვნის სახით წარდგენას. ასევე შესწორება განმარტავს, რომ რეკონსილიაცია საოპერაციო სეგმენტის სრულ აქტივებსა და კომპანიის აქტივებს შორის აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სეგმენტის აქტივების წარდგენა ხდება რეგულარულად.
- ფასს 13-ი 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, რომ ფასს 13-ში არსებული პორტფოლიოს გამოწვევის, რომელიც აძლევს ორგანიზაციებს უფლებას, ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება გაზომოს ნეტო ღირებულებით, შესაძლებელია გამოყენებული იყოს ბასს 39 და ფასს 9 სტანდარტების მოქმედების სფეროში შემავალი ნებისმიერი კონტრაქტისთვის.
- ბასს 1-ის შესწორება სახელწოდებით „ინიციატივა შენიშვნების შესახებ“ (გამოცემულია 2014 წლის დეკემბერში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, იძლევა უფრო დეტალურ მითითებებს მატერიალურობასა და შეჯამებაზე, ქვეჯამების წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგებების სტრუქტურასა და სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენაზე.
- ბასს 16-ისა და ბასს 38-ის შესწორება სახელწოდებით „ამორტიზაციისა და ცვეთის მისაღები მეთოდების განმარტება“ (გამოშვებულია 2014 წლის მაისში) - შესწორებები ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე სამომავლოდ შესწორებები იძლევა დამატებით მითითებებს და ამასთან განმარტავს, რომ:
 - შემოსავლის მეთოდით აქტივების ცვეთის გამოთვლა არ არის მისაღები, რადგან აქტივის გამოყენებით მიღებული შემოსავლის გამოუმუშავებამი ძირითადად სხვა ფაქტორებიც იღებენ მონაწილეობას გარდა აქტივის ეკონომიკური სარგებლის გამოყენებისა;
 - შემოსავალი ზოგადად მიჩნეულია არამართებულ საფუძვლად ეკონომიკური სარგებლის საზომად არამატერიალურ აქტივებთან მიმართებაში, თუმცა კონკრეტული გარემოებების შემთხვევაში შესაძლებელია ამ წესის უარყოფა.
- ბასს 16-ისა და ბასს 41-ის შესწორება სახელწოდებით „სოფლის მეურნეობა: ნაყოფის მქონე მცენარეები (გამოცემულია 2014 წლის ივნისში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან

შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განსაზღვრავს ნაყოფის მქონე მცენარეებს (ცოცხალ მცენარეებს, რომლებიც გამოიყენება რამდენიმე პერიოდის განმავლობაში ნაყოფის მისაღებად და, ძირითად შემთხვევაში, პროდუქტიული ვადის გასვლის შემდეგ ხდება მათი განადგურება) და მიაკუთვნებს მათ ბასს 16-ის მოქმედების სფეროს, თუმცა ნაყოფი, რომელსაც ეს მცენარეები იძლევა კვლავ რჩება ბასს 41-ის მოქმედების სფეროში.

- ბასს 19-ის შესწორება (ფასს-ის 2012-2014 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, რომ მაღალი ხარისხის კორპორატიული ფასიანი ქაღალდები, რომლებიც გამოიყენება საპენსიო სარგებლის განაკვეთის გამოთვლისას, უნდა იყოს იმავე ვალუტაში, რომელ ვალუტაშიც უნდა მოხდეს საპენსიო სარგებლის გადახდა.
- ბასს 27-ის შესწორება სახელწოდებით „კაპიტალის მეთოდი ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებებში“ (გამოცემულია 2014 წლის აგვისტოში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, აღადგენს კაპიტალის მეთოდს და აძლევს ორგანიზაციებს უფლებას, გამოიყენონ ეს მეთოდი შვილობილ კომპანიებში, საერთო მმართველობის ორგანიზაციებსა და ასოცირებულ ორგანიზაციებში ჩაღებული ინვესტიციების ასაღრიცხად მათ საკუთარ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ფასს 5-ის შესწორება (ფასს-ის 2012-2014 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე პროსპექტულად, იძლევა დამატებით მითითებებს იმ შემთხვევისთვის, როდესაც ხდება გასაყიდად გამიზნული აქტივის რეკლასიფიკაცია მფლობელზე გასაცემად გამიზნულ აქტივად ან პირიქით. შესწორება ასევე იძლევა დამატებით მითითებებს ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც ხდება გადასაცემად გამიზნული აქტივის აღრიცხვის შეწყვეტა.
- ფასს 7-ის შესწორება (ფასს-ის 2012-2014 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, იძლევა დამატებით მითითებებს იმის დასადგენად, კვლავ იღებს თუ არა მონაწილეობას მომსახურების კონტრაქტი გადაცემულ აქტივში.
- ფასს 10-ის, ფასს 12-ისა და ბასს 28-ის შესწორებები სახელწოდებით „საინვესტიციო ორგანიზაციები: კონსოლიდაციის გამონაკლისის გამოყენება“ (გამოცემულია 2014 წლის დეკემბერში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს საინვესტიციო ორგანიზაციებისა და მათი სუბსიდიებისთვის კონსოლიდაციის გამონაკლისის გამოყენების წესებს. არ არის მოსალოდნელი, რომ ეს რაიმე გავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.
- ბასს 7-ის შესწორება სახელწოდებით „ინიციატივა შენიშვნების შესახებ“ (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, აუმჯობესებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას კომპანიის ფინანსური აქტივობების შესახებ.
- ბასს 12-ის შესწორება (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს რეალური ღირებულებით აღრიცხულ სასესხო ინსტრუმენტთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის აქტივის აღიარებას.
- ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემულია 2014 წლის ივლისში) - სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39 სტანდარტს (ასევე ჩაანაცვლებს ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. სტანდარტი მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვისა და აღიარების შეწყვეტის წესებს.
- ფასს 9-ს მიხედვით ყველა აღიარებული ფინანსური აქტივის შემდგომი აღრიცხვა უნდა მოხდეს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით (მოგებაზე ან ზარალზე ან სხვა საერთო შემოსავალზე) კლასიფიკაციის მიხედვით ბიზნესის მოდელის და კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მახასიათებლები გათვალისწინებით.
- ფინანსურ ვალდებულებებზე ფასს 9 სტანდარტი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, სადაც გამოიყენება რეალური ღირებულების მეთოდი: ისეთი ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება, რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით ვალდებულების რისკების ცვლილებით გამოწვეული მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით, ხდება სხვა საერთო შემოსავალში (მოგებასა და ზარალში აღიარების ნაცვლად) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს იწვევს წინააღმდეგობას აღრიცხვაში.
- ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია „მოსალოდნელი კრედიტის დანაკარგის“ მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კონტრაქტის საწყის ეტაპზე მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების პრინციპზე. კრედიტის დანაკარგის აღიარებისთვის აუცილებელი აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობა.
- ჰეჯირების აღრიცხვისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია არსებითი რევიზია, რისი წყალობითაც ფინანსური ანგარიშგებები უკეთ ასახავენ, თუ როგორ ტარდება რისკის მართვის აქტივობები ფინანსური და არაფინანსური რისკების ჰეჯირებისას.
- აღიარების შეწყვეტის რეზერვები თითქმის უცვლელადაა გადმოტანილი ბასს 39 სტანდარტიდან.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ კომპანია გამოიყენებს IFRS 9-ს საკუთარ ანგარიშგებებში, როდესაც ეს გახდება სავალდებულო და რომ ახალი სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ აქტივებზე და ვალდებულებებზე. თუმცა, დეტალური გადახედვის დასრულებამდე არ არის პრაქტიკული განისაზღვროს აღნიშნული გავლენის გონივრული შეფასება.

- ფასს 16 „ლიზინგი“ (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ვრცელდება 2019 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 17 სტანდარტს და მის ინტერპრეტაციებს (SIC-15, SIC-27 და IFRIC 4). სტანდარტში აღწერილია ლიზინგის აღრიცხვის საერთო მოდელი, რომლის მიხედვითაც მეიჯარემ უნდა აღიაროს აქტივი და ვალდებულება ყველა იჯარისთვის, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც საიჯარო ვადა 12 თვეს არ აღემატება ან საიჯარო აქტივის ღირებულება დაბალია. მოიჯარე აგრძელებს აღიარებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, ფასს 16-ის შემთხვევაში მიდგომა დიდად არ განსხვავდება წინა მოქმედი სტანდარტის (ბასს 17-ის) მიდგომისგან. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ კომპანია დაიწყებს ფასს 16 სტანდარტის გამოყენებას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში მაშინ, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ამ სტანდარტის გამოყენებას შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს კომპანიის მიერ აღიარებული შემოსავლების რაოდენობაზე. თუმცა, დეტალური განხილვის ჩატარების გარეშე რთულია აღნიშნული ეფექტის განსაზღვრა.
- ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრად, თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს 18 შემოსავალი, ბასს 11 სამშენებლო ხელშეკრულებები და ფასიკ 13 მომხმარებელთა წახალისების პროგრამები“. ახალი სტანდარტის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ ორგანიზაცია აღიარებს შემოსავალს, რათა ასახოს დანაპირები საქონლის ან კლიენტებისთვის მომსახურების გადაცემა იმ თანხით, რომელსაც ორგანიზაცია მოელის საქონლისა ან მომსახურების გაცვლიდან. ახალი სტანდარტი ითვალისწინებს ახსნა-განმარტებებს შემოსავლის შესახებ, მოიცავს მეთოდურ მითითებებს იმ ოპერაციებისთვის, რომლებიც ადრე არ იყო განხილული სრულად და ასევე ხდება გაუმჯობესება იმ შეთანხმებებისთვის, რომლებიც მოიცავენ მრავალ ელემენტებს. ფასს 15 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. მისი დროზე ადრე დანერგვა ნებადართულია. 2018 წელს კომპანია შეაფასებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 15-ის პოტენციურ გავლენას.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ღირებულება								
ბალანსი 01 იან 18	500,631	-	6,639,008	2,103,158	17,344	26,394	144,561	9,431,096
დამატება	-	4,007	21,686	38,765	-	1,934	300	66,692
შემცირება	-	(2,004)	(11,761)	(107,226)	-	(3,543)	(17,991)	(142,526)
ბალანსი 31 დეკ 18	500,631	2,004	6,648,933	2,034,696	17,344	24,785	126,870	9,355,262
დამატება	-	-	1,447,371	340	23,246	3,740	-	1,474,697
შემცირება	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31 დეკ 19	500,631	2,004	8,096,303	2,035,036	40,591	28,525	126,870	10,829,959
დაგროვილი ცვეთა								
ბალანსი 01 იან 18	-	-	(1,082,557)	(1,268,639)	(16,344)	(22,509)	(61,812)	(2,451,862)
ცვეთა	-	-	(219,370)	(158,083)	(1,000)	(2,643)	(18,734)	(399,830)
ჩამოწერა	-	-	12,554	104,430	-	3,814	17,991	138,790
ბალანსი 31 დეკ 18	-	-	(1,289,372)	(1,322,292)	(17,344)	(21,338)	(62,555)	(2,712,902)
ცვეთა	0.00	-	(209,172)	(138,889)	(2,125)	(1,093)	(11,467)	(362,745)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31 დეკ 19	-	-	(1,498,544)	(1,461,181)	(19,469)	(22,430)	(74,022)	(3,075,647)
ბალანსი 01 იან 18	500,631	-	5,556,451	834,518	1,000	3,885	82,749	6,979,234
ბალანსი 31 დეკ 18	500,631	2,004	5,359,560	712,404	-	3,447	64,315	6,642,361
ბალანსი 31 დეკ 19	500,631	2,004	6,597,760	573,855	21,121	6,094	52,847	7,754,312

6. გრძელვადიანი დებიტორული მოთხოვნები

გრძელვადიანი დებიტორული მოთხოვნები წარმოადგენს მოსახლეობის მიერ გადასახდელ ხანდაზმულ წყლის გადასახადს.

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1	24	32
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	8,590	27,503	42,868
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	8,591	27,527	42,900

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

8. დებიტორული მოთხოვნები

დებიტორული მოთხოვნები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
მოთხოვნები ძირითადი საქმიანობიდან	193,131	134,402	93,916
სხვა მოთხოვნები	80,128	79,912	85,220
სულ დებიტორული მოთხოვნები	273,260	214,315	179,136

კომპანიის მოთხოვნები ფორმირებულია ძირითადი საქმიანობიდან. (სასმელი წყლის განაწილების და წყალარინების მომსახურებისაგან).

9. კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	26,161	10,355	6,851
მიღებული ავანსები	100	100	-
სულ კრედიტორული დავალიანება	26,261	10,455	6,851

კომპანიის ვალდებულებები წარმოშობილია ძირითადი საქმიანობიდან, რომელიც შედგება მომსახურე ორგანიზაციების მიმართ, სავაჭრო ვალდებულება წარმოშობილია სახარჯი მატერიალური ფასეულობების და საწვავის მომწოდებლების მიმართ.

10. გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება

გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება 263,585 ლარის ოდენობით წარმოადგენს ელექტროენერგიის საფასურს, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ძველ დავალიანებას. საბოლოო პროცედურებს კომპანია გაივლის და მიიღებს გადაწყვეტილებას 2020 წლის განმავლობაში ჩამოწეროს თუ არა მოცემული გრძელვადიანი კრედიტორული ვალდებულება.

11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 9,571,296 ლარს. 2018 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 181,074 ლარით, რომელთაგან 180,000 ლარის ჩარიცხვა მოხდა საჩხერის მუნიციპალიტეტის მიერ თანხის ჩარიცხვის შედეგად, ხოლო დარჩენილი ნაწილის კაპიტალში შეტანა მოხდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების მპს „საჩხერის წყალკანალი“-ს საწარმოს კაპიტალში შეტანით 1,074 ლარი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 9,752,370 ლარი. 2019 წლის განმავლობაში მოხდა კაპიტალის გაზრდა 1,443,091 ლარით. კერძოდ, საჩხერის მუნიციპალიტეტმა მპს „საჩხერის წყალკანალი“-ს გადასცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1,067,914 ლარის ღირებულების ქონება და 375,176 ლარის ღირებულების ქონება (საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლების სარეკისა და ბაჯითის სასმელი წყლის სისტემების სამშენებლო სამუშაოებზე შესრულებული სამუშაო). 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 11,195,462 ლარი.

12. საოპერაციო შემოსავალი

საოპერაციო შემოსავლები	2019	2018
წყლის მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი	573,052	513,387
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	17,337	17,189
სულ საოპერაციო შემოსავლები	590,389	530,576

მომსახურებიდან ამონაგები ფორმირებულია წყალმომარაგების და წყალარინების მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავლებიდან აღნიშნულ მომსახურებაზე ტარიფი დადგენილია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2014 წლის 16 აპრილს.

13. არასაოპერაციო შემოსავლები

არასაოპერაციო შემოსავლები	2019	2018
სუბსიდიები	180,000	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	1,176
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	180,000	1,176

2019 წელს საჩხერის მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტიდან, შპს-ის „საჩხერის წყალკანალი“ დასაფინანსებლად გამოყო 180 000 ლარი სუბსიდიის სახით. სუბსიდია, მის მიმღებს გადაეცა ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. სუბსიდიების მიზანი იყო წყლის მიწოდებისა და საკანალიზაციო სისტემის, კოლექტორებისა და გამწმენდი ნაგებობების ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება.

14. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები	2019	2018
წყლის ქსელის და წყალარინების ცვეთა	322,693	348,902
პირდაპირი ხელფასი	249,258	217,185
ელ. ენერგიის ხარჯი	217,413	198,593
რემონტის ხარჯები	17,742	25,994
ძირითადი მასალების დანახარჯები	12,218	10,209
საწვავის ხარჯი	3,163	-
სულ საოპერაციო ხარჯები	822,487	800,882

წყლის ქსელის და წყალარინების ამორტიზაცია არის უშუალოდ საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი. პირდაპირი ხელფასები არის იმ თანამშრომელთა ანაზღაურების ხარჯი, რომლებიც უშუალოდ იღებენ მონაწილეობას ძირითად საქმიანობაში. ელექტროენერგიის ხარჯის ამ ნაწილში მოცემულია ხარჯის ის ნაწილი, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში. რემონტის ხარჯები შედგება პირდაპირი საქსპლუატაციო ხარჯებისგან. ძირითადი მასალების დანახარჯები შედგება წყლის გასასუფთავებლად გამოყენებული რეაგენტებისგან. საწვავის ხარჯი შედგება გენერატორის მუშაობაზე გამოყენებული საწვავისა და უშუალოდ ავტომანქანის საწვავისგან, რომელიც არ გამოიყენება ადმინისტრაციული საქმისთვის.

15. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება	2019	2018
მენეჯმენტის ანაზღაურება	22,704	22,490
პირდაპირი ხელფასები	249,258	217,185
დანარჩენი პერსონალის ანაზღაურება (ადმინისტრაცია)	61,600	54,719
სულ დასაქმებულთა ანაზღაურება	333,562	294,394

2019 წლის განმავლობაში ჯამში დასაქმებულთა ანაზღაურებამ შეადგინა 349,472 ლარი, მოცემული თანხიდან 15,910 ლარი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წარმოდგენილია ზენორმატიული დანაკარგის ხარჯებში, ხოლო 2018 წლის განმავლობაში ჯამში დასაქმებულთა ანაზღაურებამ შეადგინა 308,257 ლარი, მოცემული თანხიდან 13,863 ლარი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წარმოდგენილია ზენორმატიული დანაკარგის ხარჯებში.

16. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადმა 2018 წლის განმავლობაში შეადგინა 10,453 ლარი, ხოლო 2019 წლის განმავლობაში 8,533 ლარი. მოგების გადასახადი იანგარიშება ზენორმატიული დანაკარგიდან. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით მოგების გადასახადით იბეგრება დაუდასტურებელი ხარჯები.

17. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებასა და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დამატებით დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით, შესაბამისად ფინანსურ უწყისებში დამატებით რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

18. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას, როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას არ აქვს ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სავალუტო რისკს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით :

31-დეკ- 2019

სავალუტო რისკი	ლარი	დოლარი
ფინანსური აქტივები:		
ფული და ფულის ექვივალენტი	8,591	-
დებიტორული მოთხოვნები	273,260	-
სულ ფინანსური აქტივები	281,851	-
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29,105	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	29,105	-
წმინდა სავალუტო პოზიცია	252,746	-

31-დეკ- 2018

სავალუტო რისკი	ლარი	დოლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტი	27,527	-
დებიტორული მოთხოვნები	214,315	-
სულ ფინანსური აქტივები	241,841	-
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,298	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	13,298	-
წმინდა სავალუტო პოზიცია	228,544	-

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 7) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2018 და 2019 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები, რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ნაშთებისგან, რადგან იქ ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებებით. ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 31 დეკემბრისთვის 2019 -2018 წლებში მოცემულია ქვემოთ:

2019 წლის 31 დეკემბერი	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1 დან 3 წლამდე ვადის მქონე	3 დან 5 წლამდე ვადის მქონე	5 წელზე ვადის ზევით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	8,591	-	-	-	8,591
დებიტორული მოთხოვნები	273,260	-	-	-	273,260
სულ აქტივები	281,850	-	-	-	281,850
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29,105	-	-	-	29,105
სულ ვალდებულებები	29,105	-	-	-	29,105
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	252,746	-	-	-	252,746

2018 წლის 31 დეკემბერი	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1 დან 3 წლამდე ვადის მქონე	3 დან 5 წლამდე ვადის მქონე	5 წელზე ვადის ზევით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	27,527	-	-	-	27,527
დებიტორული მოთხოვნები	214,315	-	-	-	214,315
სულ აქტივები	241,841	-	-	-	241,841
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,298	-	-	-	13,298
სულ ვალდებულებები	13,298	-	-	-	13,298
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	228,544	-	-	-	228,544

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

19. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გათვალისწინებული ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომლის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციის შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ

	31-დეკ-2019		31-დეკ-2018	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ექვივალენტები	8,591	8,591	27,527	27,527
დებიტორული მოთხოვნები	273,260	273,260	214,315	214,315
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29,105	29,105	13,298	13,298

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად „ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუუმებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	ხელფასის ხარჯი	კაპიტალის გაზრდა	სუბსიდია	სულ
საერთო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერი				
მფლობელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი	-	1,443,091	180,000	1,623,091
თვითმმართველი თემი				
საჩხერის მუნიციპალიტეტი				
მენეჯმენტი	(22,704)	-	-	(22,704)
სულ	(22,704)	1,443,091	180,000	1,600,387

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	ხელფასის ხარჯი	კაპიტალის გაზრდა	სუბსიდია	სულ
საერთო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერი				
მფლობელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი	-	181,074	-	181,074
თვითმმართველი თემი				
საჩხერის მუნიციპალიტეტი				
მენეჯმენტი	(22,490)	-	-	(22,490)
სულ	(22,490)	181,074	-	158,584

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	ხელფასის ხარჯი	კაპიტალის გაზრდა	სუბსიდია	სულ
საერთო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერი				
მფლობელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი	-	275,509	-	275,509
თვითმმართველი თემი				
საჩხერის მუნიციპალიტეტი				
მენეჯმენტი	(22,275)	-	-	(22,275)
სულ	(22,275)	275,509	-	253,234

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	გადასახდელი ხელფასი	დებიტორული დავალიანება	სულ
საერთო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერი			
მფლობელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი თვითმმართველი თემი საჩხერის მუნიციპალიტეტი	-	2,381	2,381
მენეჯმენტი	-	-	-
სულ	-	2,381	2,381

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	გადასახდელი ხელფასი	დებიტორული დავალიანება	სულ
საერთო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერი			
მფლობელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი თვითმმართველი თემი საჩხერის მუნიციპალიტეტი	-	2,381	2,381
მენეჯმენტი	-	-	-
სულ	-	2,381	2,381

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	გადასახდელი ხელფასი	დებიტორული დავალიანება	სულ
საერთო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერი			
მფლობელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი თვითმმართველი თემი საჩხერის მუნიციპალიტეტი	-	254	254
მენეჯმენტი	-	-	-
სულ	-	254	254

21. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 18 მაისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოხდა შემდეგი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ორგანიზაციას გაუზარდა საწესდებო კაპიტალი 2020 წელს 13,718,519 ძირითადი საშუალებებით. ძირითადი საშუალებების გადაცემა მოხდა საქართველოს საჩხერის მუნიციპალიტეტის მიერ.

საქართველოს საჩხერის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილია სუბსიდია 207,000 ლარი. აღნიშნული თანხიდან კომპანიის ანგარიშზე ჩარიცხულია 90,000 ლარი.

2020 წლის 21 მარტს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობით, კომპანიამ უწყვეტ რეჟიმში განაგრძო ფუნქციონირება და იცავს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებს და შეზღუდვებს.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით (2020 წლის 3 აპრილის დადგენილება N220 „კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“) მოსახლეობას, 2020 წლის სამი თვის განმავლობაში – მარტში, აპრილსა და მაისში სრულად დაუფინანსდება წყლის გადასახადი. მოცემული გადაწყვეტილება კომპანიის ლიკვიდურობას ზრდის.